



საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/1741
02/05/2024

1741-01-2-202405021235



შპს „დილსი 2020“-ის (ს/ნ 442265184)
დირექტორს ანა სიჭინავას

მის: ჩხოროწყუ, სოფ. ლესიჭინე 56-ე ქუჩა N7
მის: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N39

ქალბატონო ანა,

გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 22 იანვრის №04/44 ბრძანებით, „მოქალაქე თეა მორბედაძის განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის- შპს „დილსი 2020“-ის (ს/ნ 442265184) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

„საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ 2024 წლის 22 იანვრის №04/44 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო მოქალაქე ნათია ბოლქვაძის (პ/ნ 61954000460) 2024 წლის 25 აპრილის №01/2417 განცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის



„ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია მოქალაქე ნათია ბოლქვაძის (პ/ნ 61954000460) 2024 წლის 25 აპრილის №01/2417 განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ამასთან გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „ბ¹“ ქვეპუნქტებისა და კანონის 34-ე მუხლის 4¹ პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დადგენილ ვადაში სააგენტოსთვის მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია მოვაჭრეს დააკისროს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. ამ ჯარიმის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში მოვაჭრის მიერ იმავე ქმედების ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობაა 1 000 ლარი.

ამასთან გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და პროცედურის მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ.

დანართი: „52“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე



დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

